

ამერიკული საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ჟანრობრივ-

სტილისტური თავისებურებები და ენობრივი ეთიკა

(დონალდ ტრამპის გამოსვლების მასალაზე)

ნონა არველაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო კირვალიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან სათანადოდ ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნონა არველაძე

2019 წელი

Genre-Stylistic Peculiarities and Lingual Ethics of American Election Political Discourse

(On the material of Donald Trump's Speeches)

A b s t r a c t

The present paper is devoted to the interdisciplinary study of political discourse which is based on Donald Trump's speeches delivered by him during the election campaign in 2016. We concentrate on his idiolect, that is, his original, individual style of speech that enabled him to win the elections.

The research of the political discourse, in general, as well as the scrupulous analysis of the empirical material revealed those linguo-stylistic and pragmatic features that make Trump's idiolect so effective. By specifically using such discourse markers as "Believe me!", "by the way," "so," "you know," "anyway," etc., Trump managed to win the electorate's support in the presidential campaign. Trump's direct and convincing manner of talking, his frequent repetition of words and phrases helped him earn white mid-class of working people's sympathy and win their votes throughout the USA.

Trump often refers to metaphorical explication of his ideas while talking to his supporters. Due to his emotive-expressive use of hyperbolic expressions, as well as his impressive intonation, Trump managed to earn the image of a strong, decisive and energetic leader who could run the country successfully improving its economic and social problems.

ა ბ ს ტ რ ა ქ ე ტ ი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება პოლიტიკური დისკურსის ინტერდისციპლინურ კვლევას, რომელიც დაფუძნებულია დონალდ ტრამპის 2016 წლის წინასაარჩევნო გამოსვლებზე. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ტრამპის იდიოლექტზე, ანუ მის გამოსვლებისთვის დამახასიათებელ ორიგინალურ და ინდივიდუალურ სტილზე, რომელის საშუალებითაც მან შეძლო მოეპოვებინა ამომრჩეველთა მხარდაჭერა და მიეღწია გამარჯვებისთვის.

პოლიტიკური დისკურსის კვლევამ, როგორც ზოგადად, ასევე ემპირიული მასალის ზედმიწევნით ანალიზმა გამოავლინა ის ენობრივ-სტილისტური და პრაგმატული მახასიათებლები, რაც ტრამპის იდიოლექტს ასე ეფექტურს ხდის. კონკრეტულად ამგვარი დისკურსის მარკერების გამოყენებით, როგორცაა "Believe me!", "by the way," "so," "you know," "anyway," და ა.შ., ტრამპმა მოახერხა საპრეზიდენტო კამპანიაში ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვება. ტრამპის პირდაპირი და დამაჯერებელი ფორმით საუბარი, სიტყვებისა და ფრაზების ხშირი გამეორება დაეხმარა მას მოეპოვებინა საშუალო ფენის თეთრკანიანი მუშათა კლასის სიმპათია და მათი მხარდაჭერა მთელს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ტრამპი ხშირად მიმართავს აზრების მეტაფორიზებულ გამოხატვას მის მხარდამჭერებთან საუბრისას. მისი ჰიპერბოლური გამონათქვამებისა და შთამბეჭდავი ინტონაციის მეშვეობით, ტრამპმა შეძლო შეექმნა საიმედო, დასაყრდენი და ძლიერი ლიდერის იმიჯი, რომელიც წარმატებით შეძლებდა ქვეყნის მართვას და ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების მოგვარებას.